პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 172 (19913) ქვირა, 26 ივლისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

26 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

იერიშზე მიდიან კატარღები

კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილია. თანამედროვე სწრაფმავალი სამხედრო ხომალდები საზღვაო და სახმელეთო ძალებს რთული სარძოლო ამოცანების გადაწყვეტაში ეხმარებიან. ხომალდებზე ყველაფერი ძირითად, ნათლად ჩამოყალიბებულ ამოცანას ემსახურება — დაიცვან კასპიის ზღვის გათვალისწინებული რაიონი. წვრთნა ყოველდღიურად მიმდინარეობს.

სურათზე: კატარღები საწვრთნელ იერიშზე მიდიან. კატარღის მეთაური, ლეიტენანტი ვ. კოველი და მატროსი ი. ბეკბულაბოვი ბიდროკომპასით განსაზღვრავენ პელენგს.

ა. მამედოვისა და ი. ხალილოვის ფოტო (საკდისის ფოტოქრონიკა).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

25 ივლისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმი, რომელზეც მიწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომის უფლების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ადგილობრივი ტერიტორიულ-დარგთშორისი და აგროსამრეწველო გაერთიანებების, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ა. ანჩაბაძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ბ. ა. მეტონიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ჟვანია, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე ბ. ჰ. ბოგბიტიძე, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. ქვილითაია, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. შ. ბერაია, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ბ. ბ. ჭაბაკაშვილი, ცხინვალის ქარხანა „მინანქარსადენის“ მუშა მ. ვ. კოკოევა, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი დ. ე. სარიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი ბ. ა. ზგერსკი, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ქოჩოიანი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რ. საჯაია, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ა. ოსიპოვი, ქუთაისის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი პ. კ. ბაკურაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი დ. ვ. მანჯგალაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი თ. ნ. ლოლაძე, ქალაქ მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ ზეინკალი ბ. თ. აივაზოვი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ო. ანდრიაძე, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ე. ა. ბერიძე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ო. ნ. სულაძე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჯ. ი. პატიაშვილმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებების გეგმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა გ. ვ. ბედინეიშვილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო და მადლობა გადაუხადა პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ნ. ა. ფოფხაძე და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ა. შ. იოსელიანი, რომელიც მანამდე საინფორმის დირექტორად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორების გამგეები ვ. ა. დენისოვი, ი. დ. ივჩენკო, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ი. სადოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ს. მელნიკი, მთავარცენტრენერგოქსელმშენის უფროსი ბ. ს. ნესტერენკო.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ცხოვრების ნორმად დავამკვიდროთ სიფხიზლე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობენ ორჯონიკიძის რაიონის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა შესასრულებლად.

აღინიშნა, რომ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამოსვლის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე რაიონში გარკვეული ძვრები მოხდა ფიზიკური ცხოვრების წესის ნორმების დამკვიდრებაში. აქტიურებენ რა აღმზრდელობითს მუშაობას, აქ ყურადღება დაუთმეს შრომითი კოლექტივების როლის გაზრდას, ანტიალკოჰოლური პროპაგანდის დაკონკრეტებას, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ღონისძიებებთან სამინაბის იდეოლოგიური ფორმების შეხამებას. 80 პროცენტით შემცირდა იმ სავაჭრო ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ალკოჰოლიან სასმელებს ასაღებდნენ. 2,5-ჯერ შემცირდა ღვინოარყის ნაწარმის გაყიდვის მოცულობა და ამასთანავე გაფართოვდა უალკოჰოლო სასმელების წარმოება და რეალიზაცია.

მაგრამ, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, რაიონში ლოთობის აღკვეთის, სიფხიზლის, როგორც ცხოვრების ნორმის — დამკვიდრების ღონისძიებანი ჯერ კიდევ ვერ არის ეფექტიანი. პარტიის რაიკომის მოქმედებაში ამ მხრივ არ ეგრძნობა თანამიმდევრობა და სისტემურობა, რაც ანელებს ბრძოლის სიმწვავეს. ბოლო ხანს ბიუროზე ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის პრაქტიკულად ყოველი მეორე საკითხის განხილვა გამოწვეული იყო უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირების საჭიროებით. იშვიათად ისმენენ ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. კომპლექსურად არ უდგებიან ცხოვრების ფიზიკური წესისათვის ბრძოლის ორგანიზაციას. მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები ნელა გარდაიქმნებიან, ჯერ კიდევ ვერ მეუგნიათ, თუ რა განსაკუთრებული პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრას. ამ მნიშვნელოვან საქმეში ჯერჯერობით შეტევითი პოზიცია არ დაუკავიებიათ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსაც, რომლებიც ძირითადად მხოლოდ ფიქსირებენ დარღვევათა ფაქტებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ რაიონში ვერ აღკვეთეს გულარხეინობა ღვინის ეგრეთ წოდებული „კულტურულად“ სმის მიმართ. აქ გაბატონებულ სტერეოტიპებს მოწმობს ხალხმრავალი ქეიფები, ქორწილები და ქელეხები, რომლებიც გიმართია ლოთობის დაძლევის შესახებ სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ კიცხის, მოლითის, ლაშის, ვარძიის სასოფლო საბჭოებში. მაგრამ ამგვარ ფაქტებს არ ეძლევა პრინციპული შეფასება ისევე, როგორც საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალების გამოჩენის ან წარმოებაში პირტიანი სასმელების სმის შემთხვევებს. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიეცათ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ორი მძღოლი, რომლებმაც ხულიგნობა ჩაიდინეს მთვრალებმა საწარმოში, საყვედურსა და მითითებას დასჯერდნენ. ლოთობისადმი ასეთი გულარხეინი დამოკიდებულება დამახასიათებელია ბევრი შრომითი კოლექტივისათვის. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში სცადეს მფარველობა გაეწიათ ახალგაზრდა მუშაკებისათვის, რომლებმაც სამუშაო დროს იქეიფეს. თბილისის გასარბების ქარხნის ფილიალში კი მთვრალის სამუშაოზე არდაშვება გაცდენადაც კი არ თვლება. საერთოდ საწარმოებში ყოველთვის მომთხოვნელად რდი უდგებიან შრომის დისციპლინის დამრღვევებს, დაგვიანებით რეაგირებენ ბადაცდომებზე, ყოველთვის სარწმუნო არ არის კონტროლი და ანგარიშგება ამ საქმეში.

იმას, რომ ანტიალკოჰოლური მუშაობა რაიონში ზოგჯერ მეტისმეტად ფორმალურია, მოწმობს მთელი რიგი სასოფლო საბჭოების, „სიფხიზლის ზონებად“ გამოცხადების მაგალითიც იმ დროს, როცა აქ სათანადოდ არ მომზადებულან, არ შეუქმნიათ საჭირო ზნეობრივი ბაზა. ასევე ფორმალურად, მხოლოდ ირიცხება სიფხიზლისათვის ბრძოლის რაიონული ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრად მოსული გაერთიანებული პირების დიდი უმრავლესობა. ამასთან ისინი არათუ არ ეწევიან რაიმე მუშაობას, არამედ სრულ გულგრილობას იჩენენ თავიანთ გარემოცვაში ლოთობის ფაქტებისადმი. თავის ნებაზე მიშვებულ ამ საზოგადოებას არა აქვს მჭიდრო კონტაქტები შრომითს კოლექტივებთან, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და, რაც მთავარია, არა აქვს საკანონო ავტორიტეტი.

ცხოვრების ფიზიკური წესისათვის ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმარისად არ არიან ჩაბმული რაიონის სამართალდაცვითი ორგანოები. მათ არ აღურიცხავთ სიმთვრალის დროს არც ერთი სამართალდარღვევა, ბრ გამოუვლენიათ სპირტიანი სასმელებით სპეკულაციისა და არყის შინ გამოხდის არც ერთი ფაქტი. ეს მოწმობს ინერტულობას მათს მუშაობაში, რადგან სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობას შორის გრძელდება ფალსიფიცირებული ღვინისა და არყის წარმოება; იმ პირობებში, როცა მკვეთრად, თითქმის ორი მესამედით შემცირდა მოსახლეობისაგან ყურძნის შესყიდვის მოცულობა, საგრძნობლად იმატა შაქრის შესყიდვამ. ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები არსებითად არ ეწევიან გამოფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობას, მეტად იშვიათად გამოდიან შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას და პრესაში.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის მუშაობა რესპუბლიკაში რამდენადმე შესუსტდა, დაკარგა შეტევითობა და სიმწვავე. პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა შეანელეს ბრძოლის სიმწვავე ამ სოციალურად საშიში ბოროტების წინააღმდეგ. პირველადს პარტორგანიზაციებს ყველგან როდი უკავიათ პრინციპული პოზიცია იმ პირთა, უწინარეს ყოვლისა კომუნისტთა მიმართ, რომლებიც სპირტიან სასმელებს ეტანებიან. თავს იჩენს ადმინისტრაციული ორგანოების ინერტულობაც ანტიალკოჰოლური კანონმდებლების დარღვევების ალკვეთაში, ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პუბლიკაციებსა და გადაცემებში ცხოვრების ფიზიკური წესის არასაკმარისი პროპაგანდა.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო მუშაობა, რომელსაც პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის. პარტიის რაიკომის ბიუროს, მის პირველ მდივანს მ. ვ. მაღრაძეს, რაიკომასკომს, მის თავმჯდომარეს ჯ. ბ. უჩიძეს, მკაცრად მიეთითათ, რომ შესუსტდა ეს მუშაობა. მათ დაევალათ უფრო საგნობრივად, გამიზნულად და შეუპოვრად იბრძოლონ ცხოვრების ფიზიკური წესის დამკვიდრებისათვის, საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიიჩნიონ ეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის რაიკომს მოსთხოვა მკვეთრად გააქტიუროს მუშაობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა მესრულებისათვის, მიაღწიოს მის კომპლექსურობას, ქმედითობას, დიდ პრაქტიკულ უკუგებას, გაერთიანოს პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეცადინეობა, გაბარდოს მათი პასუხისმგებლობა, შექმნას ცხოვრების ფიზიკური წესისათვის ბრძოლის ერთიანი ფრონტი. ამოცანა ის არის, ხაზგასმულია დადგენილებაში, რომ დარაზმონ რაიონის მთელი აქტივი, საზოგადოებრიობა ალკოჰოლიანი სასმელების მოხმარების ყოველი ფაქტისადმი, ლოთობის ნიადაგზე დარღვევებისა და გადაცდომებისადმი შეუწყნარებლობის ვითარების შექმნისათვის, მშრომელთა კულტურული და შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციისათვის.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს დაევალა განახორციელოს ღვინო-არყის ნაწარმის ვაჭრობის მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებანი, უზრუნველყოს თვალყური ალკოჰოლიანი სასმელების და წვნების წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება. ამ მიზნით მან სახაგრარწარეთან ერთად დაიჩქაროს ღვინის ქარხნების პროფილის შეცვლისათვის მუშაობა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მომსახურების სფეროს გაფართოებისა და სრულყოფისათვის, მოსახლეობის სულ უფრო მზარდი სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

კონკრეტული დავალებანი მიეცათ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებმაც უნდა გააძლიერონ შეცადინეობა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისა და ამ მუშაობის გააქტიურების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

24 ივლისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა პალატების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების იმ წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შედეგების საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე და მეექვსე სესიებზე იყო შეტანილი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მთავრობამ, კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დროულად განიხილეს პალატების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების წინადადებები და შენიშვნები და ითვალისწინებენ მათ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში მეთრმეტე ხუთწლეულის გეგმის შესრულებისათვის. კომისიების ბევრი წინადადება ითვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებებში.

ამასთან ერთად ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო ნელა გარდაქმნის მუშაობას პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად, არ იჩენს სათანადო შეუპოვრობას საქვეუწყებო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე კომისიებისა და დეპუტატების წინადადებათა რეალიზაციაში. კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები სამინისტროთა მიერ საწარმოებისათვის საგეგმო დავალებათა გაცნობის პრაქტიკაში, წარმოებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გეგმების შეწოხასწორებაში. არის კიდევ უფრო დიდი ხარვეზები ორგანიზატორულ მუშაობაში, სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინის დარღვევათა ფაქტები. ამის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფერხდებოდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების მუშაობა.

არ მცირდება იმ გაერთიანებებისა და საწარმოების რიცხვი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულო ვალდებულებათა შესრულებას. გაიზარდა მათგან დაკლებული პროდუქციის მოცულობაც. ჯერჯერობით სათანადოდ არ გამოიყენება ახალი სამეურნეო მექანიზმის უპირატესობა იმ დარგებში, რომლებიც უკვე გადავიდნენ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

ძალზე ნელა მატულობს სამომხმარებლო საქონლის წარმოების მოცულობა, ჭიანურდება მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუჯობესება. ვერ სრულდება მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმები.

მნიშვნელოვანი რაოდენობის, მათ შორის უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე საწარმოო სიმძლავრეები და ობიექტები დროულად არ დადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ბევრი სამინისტრო და უწყება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო კვლავ-ინდებურად ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ვერ აღწევენ ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებას, საბიუჯეტო ვალდებულებათა შესრულებას. ვერ შესრულდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წლის პირველი ნახევრის გეგმა.

სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ გულდასმით გააანალიზონ ამომრჩეველთა მიღებული განაწესების შესრულების მიმდინარეობა და განახორციელონ ამოშწურავი ღონისძიებანი 1988 წლის იმ განაწესების მიხედვით მუშაობის დასრულებისათვის, რომელთა რეალიზაცია გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა უნდა იხელმძღვანელონ პარტიის გადაწყვეტილებებით და თანამიმდევრულად განახორციელონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრონ სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ამოცანებს და უზრუნველყონ მათი უთუო შესრულება, გაძლიერონ მუშაობა მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდისა და ფასიანი მომსახურების გაფართოების ტემპის დაჩქარების არსებულ შესაძლებლობათა გამოვლენა-გამოყენებისათვის.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის ყირიყალპაყეთის ასს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობის საკითხი.

ამ საკითხებზე მიღებული დადგენილებები პრესაში გამოქვეყნდება. (საკდისი).

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

ზაფხული მასობრივი თიბვის დროა

ზაფხული — მასობრივი თიბვის სეზონის დღეები მალე გადის. ყოველი საათი საფურაჟე მარაგის შევსებისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ამას მოითხოვს აგრეთვე ის გარემოება, რომ სტიქიამ გარკვეულად დააყოვნა თიბვა, შეამცირა საკვების დაგროვების რესურსები.

— წლეულს 4 კვირით დაგვიანდა თიბვა. მესხეთ-ჯავახეთში კი, სადაც საკვებმწარმოების კარგი ტრადიცია აქვთ, 4-5 დღის წინათ შეუდგნენ საკვების დამზადებას, — გვითხრა საქსახაგრომრეწვის საკვებწარმოების სამმართველოს უფროსმა ნ. გოდაბრელიძემ, — ცალკეულ რაიონებში თიბვას სხვა მოსავლის აღება დაემთხვა და ამან მეწვანე კონვეიერს დამატებითი სიძნელეები შეუქმნა. ამ ვითარებაში ფურაჟით ფერმების მთლიანად უზრუნველყოფა დამოკიდებულია ადამიანთა და ტექნიკური რესურსების უნარიან ორგანიზაციაზე, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისა და საკვების ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესებისათვის მშრომელთა ძალისხმევის გაჯტიურებაზე, რასაც ჯერჯერობით ყველგან ვერ ახერხებენ.

ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემებიც. 20 ივლისისათვის რესპუბლიკაში შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს ჩამორჩება თივის, სენაჟის, სილოსის და მთლიანად უხეში საკვების დამზადების მაჩვენებელები.

უხეში საკვების დამზადების გეგმების შესრულების პროცენტი შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე და შარშანდელ დონეზე ნაკლებია ფყალტუბოს, ტყიბულის ზონებში, ვანის, დმანისის, დუშეთის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, თერჯოლის, თიანეთის, ხობის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს რაიონების მეურნეობებში. თივის დამზადებას ჯერ კიდევ არ შესდგომიან ტყიბულის ზონაში, მის შეზობლებს კი — ონს, ამბროლაურსა და ფყალტუბოს ზონას ათასობით ტონა საკვები აქვთ დაბინავებული.

სენაჟის გეგმის შესრულება ყოვდება დმანისის, თიანეთის, ბორჯომის რაიონებში.

მართალია, ბალახის ფხვნილი რესპუბლიკაში შარშანდელზე 373 ტონით მეტია წარმოებული, მაგრამ გეგმა მხოლოდ 44 პროცენტით არის რეალიზებული, ეს იმიტომაც მოხდა, რომ გეგმის შესრულებას არ ჩქარობენ ახმეტის, გეგეჭკორის, გორის, სამტრედიის, წითელწყაროს რაიონების საკვებმომპოვებლები.

დიდძალი ნამჯა აქვთ მინდვრებიდან გასატანი ახმეტის, ბოლნისის, კასპის, გარდაბნის რაიონების მეურნეობებს. არადა, ეს საკვები ტექნოლოგიის მიხედვით სამ დღეზე მეტ ხანს არ უნდა გაჩერდეს დაუბინავებლად.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ამთავითვე ყველაფერი უნდა იღონონ იმათი პერსონალური პასუხისმგებლობის გაზრდისათვის, ვისაც საზამთრო საკვების მომარაგება ევალება.

რუსთავში, მდინარე მტკვარზე წყალდიდობის გამო დაინგრა წყალსაცავის კაშხალი და ამით უწინარესად დაზარალდნენ გარდაბნის რაიონის მებოსტნეები, საკვებმომპოვებლები, მებაღეები-მევენახეები; მათ შეუწყდათ სარწყავი წყლის მიწოდება. ამ დროს მათს მიწებზე კი გვალვა მძვინვარებს. სამშეროება შეექმნა მოსავლიანობას, არადა, წელს გარდაბნელებმა ყველაფერი იღონეს, რათა უხვი მოსავალი მოეწიათ. პარტიის გარდაბნის რაკომმა სპეციალური შტაბი შექმნა. რაიკომის ბიუროს წევრები დღედაღამ მორიგეობენ, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ წყლის რესურსები, გამოიძებნა კიდევ რეზერვები, რომლებსაც გონივრულად იყენებენ. მტკვრისა და ივრის წყალს მორიგეობით იღებენ საბჭოთა მეურნეობები. პირველი რწყვა 31.304 ჰექტარზე თავის დროზე დასრულდა. მიუხედავად სიძნელეებისა, მეორე რწყვაც მთელ ფართობზე ნორმალურად მიმდინარეობს. თუ საჭირო გახდა, ღამით დამატებითაც რწყავენ.

სარწყავ წყალს კარგად იყენებენ აკურის ასსრ, მარნეულის, მცხეთის და სხვა რაიონების მელიორატორები. ბოსტნეული სამჯერ და მეტჯერ მორწყეს სიღნაღის, თეთრი წყაროს, ყვარლის რაიონებში. გარდაბნელებმა სარწყავში ბოსტნეულის მთელი ფართობი — 5.228 ჰექტარი ორჯერ და ზოგან მეტჯერაც მორწყეს. ასევე ითქმის მრავალწლოვან საკვებ კულტურებზე, 11 ათას ჰექტარზე მეტი სათიბი რამდენჯერმე მოირწყა. მრავალწლოვანი სათიბი კულტურების რწყვაში წინ არიან ფრეთვე აკურის ასსრ, სიღნაღის, მარნეულის და სხვა რაიონები.

ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში რწყვის საქმე ჩამორჩება, არადა, დროული რწყვა ახლა ნათესებს უთუოდ უშველის, მოსავალს გადაარჩენს. ადიგენის რაიონში 15 ივლისისათვის პირველი რწყვის დავალება 32 პროცენტით, ხოლო მეორე — 3 პროცენტით იყო შესრულებული, ასევე ითქმის ახალციხის, ახმეტის რაიონებზე; გურჯაანის რაიონს რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს 15 ივლისის ცნობით, სარწყავი მიწების მთელი ფართობის 14. პროცენტი ჰქონდა მორწყული პირველად, მეორეჯერ — 4 პროცენტი, ქარელისას — 37 და 13 პროცენტით, ხაშურისას — 50 და 24 პროცენტით, წითელწყაროსი — 25 და 6 პროცენტით.

დრო არ ითმენს, რწყვის საქმე არსებითად უნდა გაუმჯობესდეს, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ წყლის მარაგი, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ღამით რწყვას, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავარჩინოთ კარს მომდგარი ჭირნახული.

ერთი თვით ადრე

ჰიათურა. (საკ. კორ.) „ჰიათურამანგანუმის“ სტალინის სახელობის მაღაროთასამმართველოს ყველა საწარმოო უბანმა შეასრულა მიმდინარე წლის ექვსი თვის სახელმწიფო დაკალი. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა აქ 106,1 პროცენტით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაიზოგა 441 200 მანეთი. მაღაროთასამმართველო მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან გადასულია მეუფლობრიობის ახალ მეთოდზე. თითოეული მუშა დაუფლებულია სამ და მეტ პროფესიას. შემცირებულია ხელის შრომის წილი, მექანიზმების ფართოდ დანერგვის მეშვეობით საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და ხელფასი. სტალინის სახელობის მაღაროთასამმართველოს კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში არაერთხელ გამოსულა საპრიზო ადგილებზე. სამთოელებმა უმატეს შრომის ტემპს. დღეს ისინი აგვისტოს ანგარიშში მუშაობენ და მიმდინარე წლის გეგმების შესრულებას ერთი თვით ადრე ვარაუდობენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალების შემსწავლელი

მეცადინეობის სანიმუშო გეგმა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა მიიღო ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის პროგრამა, არსებითად გაორმაგა დაჩქარების სტრატეგიული გეზი, გადაიყვანა გარდაქმნის იდეები პრაქტიკულ სიბრტყეში. იმის გამო, რომ პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დოკუმენტებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, რეკომენდებულია მოეწყოს მათი შესწავლა პარტიული, კომკავშირული, მასობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში.

პროპაგანდისტთა დასახმარებლად ქვეყნდება მეცადინეობის სანიმუშო გეგმა, რომელიც დაკონკრეტდება ადგილობრივი პირობებისა და გადასაწყვეტი ამოცანების გათვალისწინებით. პარტიულ ორგანიზაციათა შეხედულებისამებრ ეს მეცადინეობანი შეიძლება მოეწყოს ა. წ. აგვისტო-სექტემბერში.

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმი პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების, გარდაქმნის შემდგომი გაღრმავების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ახალი ეტაპია. გაწეული შუშაობის ყოველმხრივი შეფასება, ნაკლოვანებათა კრიტიკა, მომწიფებული პრობლემების საქმიანი განხილვა. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები ოქტომბრის საქმის უშუალო განგრძობაა. პლენუმის მნიშვნელოვანი წვლილი გარდაქმნის ერთიანი კონცეფციის შემუშავების დასრულებაში. ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა სოციალისტური მშენებლობის წლების ყველაზე ღრმა და ყველაზე მასშტაბური რეფორმაა. კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის მიერ პლენუმის გადაწყვეტილებათა ერთსულოვანი მხარდაჭერა. მსოფლიო საზოგადოებრიობა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის შესახებ.

2. პოლიტიკური შედეგები და გარდაქმნის თანამედროვე ეტაპის უპირველესი ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შედეგად ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის არსებითი შეცვლა. სოციალიზმის მაღალი პრინციპების ურყევობის რწმენის განმტკიცება, შრომისადმი დამოკიდებულების შეცვლა, პოზიტიური ძვრები ეკონომიკაში, დემოკრატიზაციის პროცესის გაჩაღება. ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ. გარდაქმნის პროცესის სირთულე და წინააღმდეგობანი. საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ჰარმონიზაციის პრობლემა. მუშათა კლასის ავანგარდული როლი გარდაქმნაში.

სახალხო მეურნეობა 1987 წლის პირველ ნახევარში, მისი განვითარების გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტა. ხალხის უზრუნველყოფა სურსათით. საბინაო მშენებლობის ძირეული გარდატეხის აუცილებლობა. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია. შრომითი კოლექტივების ინიციატივა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკვანძო საკითხთა განხორციელებაში.

3. დემოკრატიზაცია გარდაქმნის გადამწყვეტი პირობაა. მშრომელთა მზარდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტიურობა. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა დემოკრატიის გაფართოების პირობებში. საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერება გარდაქმნის ინტერესებისათვის. სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო ცოხვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო სახალხო განხილვის შესახებ. სოციალისტური კონტროლის ლენინური პრინციპი, მისი შემდგომი განვითარება. პარტიის ძირეული რგოლების ინგარიშგება-არჩევნების კამპანია ყველა პარტიული ორგანიზაციის შემდგომი გაკეთილშობილების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. გადაწყვეტილება სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

4. ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის საჭიროება და არსი. შრომითი კოლექტივი გარდაქმნის ამოსავალი პუნქტია. ეკონომიკის გამოყენება კრიზისისწინა მდგომარეობიდან მისი ღრმა, ნამდვილად რევოლუციური გარდაქმნების საფუძველზე. ეკონომიკის მართვის ერთიანი, ეფექტიანი, მოქნილი სისტემის შექმნა. საწარმოთა უფლებებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მარჯვე გამოყენება. ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა. საწარმო-გაერთიანებათა მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის ძირითადი ნიშნები. თვითნაზღაურობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა. შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის განვითარება. სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონი.

5. სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ეფექტიანობის გაზრდა მართვის ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე. ცენტრალიზმის ახალი კონცეფცია. სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის გარდაქმნა. ფასწარმოქმნის რადიკალური რეფორმა. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნა, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა. დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმის ოპტიმალური შუამავა, ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების როლის გაძლიერება. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა.

6. გარდაქმნის სოციალური ასპექტები, მისი ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფა. მოტივებისა და სტიმულების ქმედითი სისტემის შექმნა, შრომის ორგანიზაციისადმი თვისებრივად ახლებური მიდგომის საჭიროება. მშრომელთა დასაქმების სოციალური გარანტიები. ეკონომიკის მართვის გარდაქმნის პირობებში სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სამეურნეო კადრების გადამწყვეტი წვლილი რეფორმის განხორციელებაში. გარდაქმნის ყველა მიმართულებით პარტიული გაელენის გაძლიერების საჭიროება. პარტიული კომიტეტების შუშაობის სტილის სრულყოფა, ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების დამკვიდრება. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლი ყველა განსახორციელებელ გარდაქმნაში. გარდაქმნის მიმდინარეობისათვის, ყოველ სამუშაო უბანზე პრაქტიკული შედეგებისათვის, მომწიფებული პრობლემების რეალური გადაჭრისათვის კომუნისტთა, ხელმძღვანელთა, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის პასუხისმგებლობის გაძლიერება.



ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთადერთი საწარმოა, სადაც შემოღებულია სახელმწიფო მიღება. წლის დამდეგიდან, მიმწოდებელ-მომხმარებელთა გამო, შეფერხებები იყო ქარხნის კოლექტივის მუშაობაში. მანქანათმშენებლებმა, რომლებმაც თავი მოუყარეს წარმოების ყველა რეზერვს, დაძლიეს ჩამორჩენა და შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა.

სურათებზე: მოწინავე შემდუღებელი-ამწყობი ალბერტ მელაძე; საამწყობო უბანზე შრომობს საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადა, რომელსაც ნიკოლოზ ზასეიკი ხელმძღვანელობს.

ლ. გუსლოვის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

საქონელი და საქონელბრუნვა

იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდება პლენუმის გადაწყვეტილებები, საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ე. ე. კაპაძე:

— საქონელბრუნვის სფეროში დაძაბული მდგომარეობა, რომელიც რესპუბლიკაში ბოლო ხანს შეიქმნა, არ უმჯობესდება. ამ სიტუაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ის, რომ მომხმარებელს ჯიუტად არ სურს ადგილობრივი ნაწარმის შეძენა. სხვა მთავრობრივ რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოს მცხოვრებნი სწორეკ მის ფარგლებს გარეთ იძენენ რეკორდული რაოდენობის საქონელს.

ამ მოვლენის ახსნა არც ისე ძნელია: ვაჭრობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე ასორტიმენტის დაცვის გათვალისწინებით ხომ სადღეისოდ 10 პროცენტით და მეტად დაუკმაყოფილებელი რჩება. კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების ნაწარმი ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით ნაკლები გამოდის, ვიდრე საშუალოდ კავშირში. ეს გასაგებს ხდის საქონელბრუნვის მდგომარეობას. ხომ ცნობილია, რომ მანეთი მით უფრო სრულფასოვანია, რაც უფრო მეტი საქონლის შეძენა შეიძლება ამ მანეთით. ანუ, საჭიროა დაივცვათ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა წარმოებისა და ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობის ბალანსი. სწორედ ამის მნიშვნელობა აღინიშნა ხაზგასმით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე. ბოლო დრომდე წესს არ იცავდნენ: ხელფასის ფონდის ზრდა უსწრებდა საქონლის წარმოების ზრდას. პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ხარისხიც ალარ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს.

ჩვენი მაღაზიების დახლებზე საქონელი ბლომად არის, მაგრამ ეს სიუხვე მოჩვენებითია. სპეციალისტები ასეთ სიტუაციას უწოდებენ „დეფიციტს სიჭარბის პირობებში“. რა თქმა უნდა, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი ბალანსირებული უნდა იყოს სასაქონლო მასით. მაგრამ გარკვეული თანხის დამზადებული საქონელი და გარკვეული თანხა ხომ ერთი და იგივე არ არის. ფული სამუშაოში გადახდილი, საქონელი კი, როგორც ეს ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, არ იყიდება, მას ფული არ მოაქვს. მაშასადამე, ზარალში ვართ.

ასეთი სიტუაციისათვის გვარიანი პასუხისმგებლობა ეკისრება ვაჭრობას, რომელიც, ძირითადად, მაცქერლის როლს სჯერდება. მაგალითად, არცთუ იშვიათად საკმაო ასორტიმენტის საქონელიც კი არ არის გამოტანილი დახლზე.

— ესე იგი, გამოდის, ვაჭრობა არ არის დაინტერესებული იმით, რომ წარმატებით ივაჭროს?

— დიახ, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციაში არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები. ერთი მთავგანია საბითუმო რგოლის სუსტი მუშაობა. ჩვენი საბითუმო ბაზრები არ სწავლობენ მოთხოვნას, არ თანამშრომლობენ მრეწველობასთან ბაზრისათვის საჭირო საქონლის წარმოებისა და მიწოდების საქმეში. ისინი არც პროდუქციის ხარისხს აკონტროლებენ. უნდა შეიცვალოს თვით მათი მუშაობის შინაარსი რეალიზატორ საქონელმცოდნეთა შტატების დაწესებასთან ერთად. საბითუმო რგოლი ვაჭრობის გზაჯვარედინია. სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა განვსაზღვრავთ მის ადგილს გარდაქმნაში. ბითუმად მოვაჭრეებმა უნდა იკისრონ ის ფუნქციები, რომლებიც მეურნეობრიობის ახლანდელ პირობებში არახელსაყრელი და სამძიმოა საცალო ვაჭრობისათვის, და პასუხი აგონ საბოლოო შედეგისათვის.

— მაგრამ ბაზრის ხომ მოთხოვნილების ხშირი და ზოგჯერ გამოუცნობი მერყეობა სჩვევია. რა შეუძლია იღონოს ვაჭრობამ, რათა დახლიდან, ბოლოს და ბოლოს, გაქრეს საქონელი, რომელიც არავის არ სჭირდება და გაჩნდეს ისეთი საქონელი, რომლითაც დაინტერესებულია მყიდველი?

— მართლაც, ყველაფრის დაგეგმვა შეიძლება, მოთხოვნის გარდა. ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ დეფიციტი იყო, დღეს შეიძლება გაუსავლინინ საქონელი აღმოჩნდეს და ზენორმატიული ნარჩენების მძიმე ტვირთად დააწვეს ვაჭრობასაც და მრეწველობასაც. პარტიის XXVII ყრილობის გადწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ვისწავლოთ ოპერატიული და სწორი რეაგირება ბაზრის ზიგზაგისებურ მოთხოვნებზე. ვაჭრობა უნდა სწავლობდეს და აპროგნოზებდეს მოთხოვნას, რათა მასთან მკაცრი შესაბამისობით უყალიბებდეს შეკვეთებს წარმოებას. საწარმოო გეგმების ფორმირების საფუძველი დღეს ხდება ვაჭრობის შეკვეთა, საბითუმო ბაზრობათა შედეგები. ვაჭრობა სულ უფრო ხშირად გვიკარნახებს თავის პირობებს. მარტო ვაჭრობის მიერ შეძენილი ნაწარმი შეიძლება გამოვიდეს შეთანხმებული მოცულობით. გადაჭარბებული ან შემცირებული შეკვეთა ერთნაირად ცუდია. ახლა, როცა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადავედით, ცარიელი დახლები თუ გაუსავლელი ან საქონლით გავსებული მაღაზიები სახელმწიფოს კი არ მიაყენებს ზარალს, არამედ საკუთარ ჯიბეს.

— როგორ მიდის ჩვენთან მთელ კავშირში პერსპექტიულად მიჩნეული საქონლის ვაჭრობა სახელშეკრულებო ფასებით?

— რესპუბლიკის ვაჭრობასა და მრეწველობას სახელშეკრულებო ფასებით საქონლის შეკვნისა და გაყიდვის ერთგვარი გამცდელია და ფუგაროვდა, მაგრამ სასურველი შედეგი — „მოდის“ მაღაზიასა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში მაღალხარისხოვანი საქონლის ფართო არჩევანი ჯერ არ ჩანს. არადა, ამის გარდა შეფუთვაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. უმრავლეს შემთხვევებში კი სახელშეკრულებო ფასიანი საქონელი ისევეა შეფუთული, როგორც დანარჩენი პროდუქცია — რბილ, რუხ კოლოფებში, ულამაზო პაკეტებში, მას დაკრული აქვს უღიმღამო ეტიკეტები. ვაჭრობა ხშირად სათანადოდ ვერ აფასებს თავის ზემოქმედებით როლს, სრულად არ იყენებს ასორტიმენტის დარეგულირებ[illegible] წარმის დაბალი ბარისხ[illegible] წესებულ საკარმიდ[illegible] სტემას.

— კი მაგრამ, ხარისხის საგუშაგოზე ხომ მრავალი ინსტანციაა — სახმეღლება, სტანდარტები, სავაჭრო ინსპექცია და პროკურატურის ორგანოებიც კი. როგორ იყენებს სახელმწიფო სავაჭრო ინსპექცია თავის უფლებებს საქონლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში?

— საქონლისა და ვაჭრობის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია — ასეთია მისი სრული სახელწოდება. ინსპექციის საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას, და ამით მყიდველთა ინტერესების დაცვას. მაგრამ საქმით მისი მუშაკები მხოლოდ აშკარა ფაქტების ალმოაცხველებად გვევლინებიან. არ არის ან უკიდურესად იშვიათია ზემოქმედების ისეთი ფორმები, როგორიც არის პროდუქციის გამოშვების შეწყვეტა ან მისი მიღების განსაკუთრებული რეჟიმის შემოღება. შემოწმებათა ქმედითობა მიღებული სანქციების შემთხვევაშიც კი ნაკლებეფექტიანი, დროებით გამოდგება ხოლმე. გაჩნდა სანქციები, ხორცეილდება ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ როგორ არის საქმე აკრძალვის გაუქმების შემდეგ — ეს უკვე ინსპექციის მუშაკებს ალარ აინტერესებთ. ახლა გადწყდა: პროდუქციის მიღების არც ერთი აკრძალვა ან შეზღუდვა არ გაუქმდება, სანამ მისი ხარისხი საკმაოდ საიმედოდ არ გაუმჯობესდება.

საუბარი ჩაიწერა
ა. კოკაიამ.

ვაჭრობა, მომსახურება, პრობლემები

თვითდაფინანსების, თვითანაზღაურების გზით

მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან ჩვენს რესპუბლიკაში ძალაში შევიდა მეურნეობრიობის გაძლოლის ახალი სისტემა — ვაჭრობის ორგანიზაციები და საწარმოები თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში მუშაობენ. პირველი ნაბიჯების გასაცნობად ვეწვიეთ დედაქალაქის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო საწარმოს — უნივერმაღ „თბილისს“. წერილში ლაპარაკია გარდაქმნასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საქმიანობაზე.

უნივერმაღი „თბილისი“ ჩვენი დედაქალაქის უმსხვილესი ცენტრია. ქალაქისათვის `იგი არცთუ დიდი ხნის შენაძენია და თავიდანვე ყურადღებას იპყრობს თავისი მოცულობით, ვაჭრობის კულტურით, ინტერიერებისა და სალონების გონივრული მოწყობით, სავაჭრო განყოფილებების გამოყოფით, რათა მყიდველს გაუადვილდეს საჭირო საქონლის შეძენა. ამაში მას შიდა რადიოქსელიც ეხმარება, რადგან საქონლის რეკლამასთან ერთად ცხადდება მისი განლაგების მისამართებიც. სალონების ესთეტიკურად სასიამოვნო სახეს, რეკლამირებას, საქონლის გონივრულ განლაგებას, მოგგეხსენებთ, მყიდველისთვისაც და გამყიდველისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად სალონები გადაკეთებულია და ერთგვარი დინამიზმი შეაქვს საერთო სილამაზეში, მაგრამ ეს დროებითი გარემოება სასიკეთო მშენებლობის მაუწყებელია. შენდება ესკალატორი, რათა მყიდველს გაუადვილდეს ოთხივე სართულზე ასვლა.

ახალ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას უნივერმაღში დიდი მოსამზადებელი შუშაობა უძღოდა წინ. მეორე წელია სავაჭრო ცენტრს ჰყავს ახალი ხელმძღვანელობა, რომლის მუშაობის ნიშანდობლივი მხარე შრომის დისციპლინის განმტკიცებაა. ხელმძღვანელობის აზრი ასეთია, რომ, თუ მთელი კოლექტივი არ არის მობილიზებული, საერთო საქმისათვის ერთსულოვნად დარაზმული, მას წარმატების მიღწევა გაუჭირდება. ამ პრინციპით შუშაობამ, ძალების უაღრესმა მობილიზებამ შესაძლებელი გახადა 1985 წლის მაისიდან (ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის დღიდან) საქონელბრუნვის გეგმების წარმატებული შესრულება (მანამდე გეგმები არ სრულდებოდა).

გარდაქმნისათვის სამზადისი უწინარესად დაიწყო სასაქონლო მასის ნაშთების (ეგრეთ წოდებული ჩაწოლილი საქონლის), ძნელად სარეალიზაციო საქონლის ლიკვიდაციი-რეალიზაციით, ამ საქმეში კარგი შედეგი მოჰყვა ვაჭრობის სწორ ორგანიზაციას. ჯერ იყო და, შეეცადნენ სასაქონლო სახის გაუმჯობესებას, საწყობიდან გამოტანილი საქონელი გაწმინდეს, დაეუთოს, ხარვეზები გაუსწორეს, რამაც შესაძლებელი გახადა მათი რეალიზაცია. ამას გარდა, შარშანწინ დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონში საბითუმო ბაზრობებზე საქონლის გაყიდვა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს უნივერმაღი „თბილისი“. ამრიგად, პირველი ივლისისათვის მას აღარ ჰქონდა არავითარი ზენორმატიული ნაშთი.

მეორე, რასაც ყურადღება მიექცა, იყო სამუშაო პირობების გაუმჯობესება. სალონებში შეცვალეს გათბობის სისტემა, ხოლო ზაფხულისათვის მოაწესრიგეს საკონდიციონერო მეურნეობა. სავაჭრო დარბაზების კეთილმოწყობამ, სამუშაო პირობების გაუმჯობესებამ, ბრიგადულ სანარდო ანაზღაურებაზე გადასვლამ განამტკიცა დისციპლინა, გაზარდა პასუხისმგებლობა და შრომის ნაყოფიერება. როგორც აღვნიშნეთ, უნივერმაღს ორ წელზე მეტია გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევა არ ჰქონია.

დახლის მუშაკის შრომის ნაყოფიერების ზრდამ გამოიწვია მისი ხელფასის მატება, გამყიდველის საშუალო ხელფასი 167 მანეთი გახდა და დღეისათვის დედაქალაქის სხვა სავაჭრო ობიექტების მუშაკების ხელფასთან შედარებით ყველაზე მეტია.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს შარშანდელმა ბრძანებამ სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ, მისმა ნორმატიულმა დოკუმენტებმა და მითითებებმა საფუძველი მოუმზადა ახალ საქმეს.

უნივერმაღ „თბილისში“ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა მოსამზადებელ პერიოდში ცალკეული განყოფილებების მიხედვით სათანადო. ეკონომიკური ანალიზი. ამის მიხედვით გაკეთდა წინასწარი გაანგარიშებები, თუ რას მისცემდა უნივერმაღს ახალ პირობებში შუშაობა იმ სანაზისო მონაცემებით, რომლებიც მას ჰქონდა მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის. მთელი შემოსავლის ბალანსი უდრიდა 5.940 ათას მანეთს, ხოლო გასანაწილებელი შემოსავლისა (ხელფასის ფონდის გარდა) — 4.313 ათას მანეთს. ამგვარად, შემოსავლის ბალანსიდან თანხების ნაწილი ნორმატივების მიხედვით გადაეცა სახელმწიფო ბიუჯეტს, ცენტრალიზებულ ფონდს, ნაწილი დარჩა სავაჭრო საწარმოს განკარგულებაში, შრომის ანაზღაურების, საწარმოს სოციალური განვითარების ფონდის სახით.

ამ ნორმატივების ფონზე უნივერმაღს შეეძლო შრომის ანაზღაურების ფონდში მიეღო მილიონ 859 ათასი მანეთი, წარმოებისა და სოციალური განვითარების ფონდში — 286 ათასი მანეთი. შრომის სწორი ორგანიზაციის წყალობით ასეთი კარგი საფუძველი დაჰდა მეურნეობრიობის ახალი წესის შემოღებას.

პირველი ივლისიდან უნივერმაღი ახალ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. შემუშავდა დებულება, თუ რა პირობებში და როგორ წარიმართოს მუშაკთა პრემირება. ახალი წესით შრომის ანაზღაურების ფონდიდან გაიცემა პრემიები და დანამატები.

1 აგვისტოსათვის მექანიზმი უნდა ამოქმედდეს და უნივერმაღმა უნდა განახორციელოს თვითდაფინანსების მეთოდი, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა, რაც იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველყონ საქონელბრუნვის გეგმის შესრულება, მოსახლეობის კულტურული მომსახურების და შრომის კოლექტივის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

უნივერმაღის № 31 ქსოვილების სექცია სხვა სექციებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. როგორც სხვაგან, აქაც შეიქმნა საიჯარო ბრიგადა. ბრიგადის ხელმძღვანელი, სექციის გამგე თენგიზ ხარებოვი, მისი მოადგილეები ნელი დიღმელაშვილი, ომარ ხორხელი და დავით გველესიანი ყოველ ღონეს ხმარობენ მეურნეობრიობის ახალი წესის დამკვიდრებისათვის. საგანგებო კრებებზე ხდება თითოეული მუშაკის გარჯის შეფასება, ფიქსირდება შრომის კოეფიციენტი.

ყველაზე მეტი შრომის კოეფიციენტი დაგროვილი აქვთ უფროს გამყიდველებს ზიზი კაიშაურს, ემა კობახიძეს, გამყიდველს ნათელა ერემოვას, უმცროს გამყიდველს ბაბულია შახბაზოვას და სხვებს, მოწინავე მუშაკთა დამახასიათებელია, რომ სექციას შესრულებული აქვს როგორც შარშანდელი წლიური, ასევე მიმდინარე წლის ექვსი თვისა და ორივე კვარტალის გეგმები.

მეურნეობრიობის გეგრგილიანი გაძღოლა ხელს შეუწყობს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც სადღეისოდ აქვს ამ სავაჭრო ობიექტს. იმას, რომ გაუმჯობესდეს სასაწყობო მეურნეობა, საქონლის შეფუთვა-რეკლამირება, მოიზიდონ მაღალკვალიფიციური კადრები.

ნ. ნორაკიძე.

ქრონიკალური ამბავი

როგორ განაგეგდნენ ქულეგს

I. „ზემოდან“ მითითებით

1975 წელი. ნიკოლოზ ნ. (სახელი გამოგონილია) კვლავ ვერ შევიდა სამედიცინო ინსტიტუტში — ქულები არ ეყო. ვინ იცის, ეს უკვე მერამდენე ამაო ცდა იყო, და მშობლებმა, რომლებიც შიშობდნენ, ვაითუ ჩვენი შვილის დასტაჭრული ტალანტი ჩაკვდესო, გადაწყვიტეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის ეთხოვათ, გავლენა მოეხდინათ უკულმართ, მაგრამ არა ყოვლისშემძლე ბედზე. და მართლაც, ბედზე ძლიერი აღმოჩნდა სასწავლებელთა მთავარი სამმართველოს უფროსი ი. თ. ისაკოვი (შემდგომში იგი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე გახდა, ამ წლის დამდეგს კი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს). ისაკოვმა დონეცკის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ „სასწავლებელთა მთავარი სამმართველო ნებას ძლევა ჩაირიცხოს ნ. თქვენდამი დაკვემდებარებული ინსტიტუტის საქურთალო ფაკულტეტზე მიღების გეგმის გადამეტებით“.

დღეს ი. თ. ისაკოვს ვერ აუხსნია, რატომ გამოიჩინა ნ.-სადმი ესოდენ გულჩვენილობა, და ადიარებს, რომ არავითარი უფლებამოსილება არ ჰქონდა ხელი მოეწერა ამ წერილზე. დადგენილი წესის თანახმად, სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს შეუძლია საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტს გამოუყოს დამატებითი ადგილები, ხოლო კონკრეტულად ვის ჩარიცხავენ ამ ადგილებზე, ეს უკვე თვით უმაღლესი სასწავლებლის მიმღები კომისიის კომპეტენციაში შედის.

თუმცა, როგორც მალე დარწმუნდებით, ნიკოლოზის პირად საქმეში სხვა საგულისხმო გამოცანებიც არის.

1976 წლის ნოემბერი. ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მილიციამ დაიკავა დონეცკის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტები, რომელთაგან ერთ-ერთი ნ. იყო. მეგობრებს ჩამოართვეს კანფეტი, რომელიც ანაშის დასაბამდებლად გამოდგება (ნარკოტიკი პირადი გეზსაყენებლისათვის სჭირდებოდათ). გაიმართა სასამართლო, ორივენი დამნაშავედ სცნეს, ერთი წლის გამოსასწორებელი სამუშაოები მიუსაჯეს და ინსტიტუტიდან გარიცხეს.

მაგრამ განაჩენმა ნ.-ს ვერ ჩაუკლა ადამიანთა მკურნალობის მგზნებარე სურვილი. და აი, კვლავ გამოექომაგა „კეთილი ძია“ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან.

1978 წელი. სასწავლებელთა მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი ა. ვ. მაიოროვი უკვე კალინინის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის ო. ... დუნაევსკ

-სადმი წერილში გამოთქვამს აზრს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ნ. დაეშვათ სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის პრაქტიკულ მეცადინეობაზე, ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით კი გადაეწყვიტათ მისი ჩარიცხვის საკითხი. ყოჩაღად მოუფიქრებიათ, ვერაფერს იტყვი! ესაოდა, კი არ გბრძანებო, მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნიაო: კი არ ჩარიცხოთო, გთხოვთ მეცადინეობაზე დაუშვათო. მერე კი თქვენ იცით. კალინინში სწორად გიგეს გადაკვრით ნათქვამი: ნ. მოსკოვიდან ქაღალდის მიღების ოთხი დღის შემდეგ... ჩარიცხეს.

აქ მთელ ორ წელიწადს სწავლობდა და ბევრი რამ დაუტოვა აქაურებს მოსაგონარი. პირადი საქმე ავტოელფილა საყვედურებით, სწავლისა და ყოფაქცევის გამო შენიშვნებით. და ბოლოს, 1980 წლის აპრილში ნარკოტიკების უკანონო შენახვისათვის ნ.-ს კვლავ მიუსაჯეს ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა. ინსტიტუტმა, როგორც ჩანს, ამოისუნთქა და... გარიცხა.

ეტყობა, ასეთი ბრწყინვალე, თუმცა ბაზაერული ტალანტის დაკარგვა აუნაზღაურებელ ზარალად მოეჩვენა რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაც, თორემ რით უნდა აიხსნას, რომ უმაღლესი სასწავლებლის განყოფილების გამგის მოადგილე (ამჟამად განყოფილების უფროსი) პ. ა. დუშენკოვი, როცა კალინინიდან სამინისტროს შეკითხვის პასუხად ნ.-ს დახასიათება მიიღო, რომელშიც იგი მთელი თავისი მშვენიერებით წარსდგა (არც ამ დახასიათებაში მოცემული დასკვნაა ორაზროვანი: „მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია აღვადგინოთ. არა მარტო ჩვენს, არამედ საერთოდ არც ერთ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში“), 1981 წელს არხანგელსკის სამედიცინო ინსტიტუტს უგზავნის ასეთი შინაარსის წერილს: „განიხილა რა წარმოდგენილი მასალები, განყოფილებას შესაძლოდ მიაჩნია ნ. პირობითად დაუშვათ მეცადინეობაზე IV კურსზე“...

მაშ ასე: დონეცკი, კალინინი, ახლა არხანგელსკი... ეტყობა, ყალიბდება ახალი ბიოლოგიური სალეობა: გასტროლიორი სტუდენტი...

ამ ამბის დასასრული (დასრულდა კი?) კვლავ და კვლავ ისეთივეა: ახალი დანაშაული, სასამართლო, თავისუფლების აღკვეთა და ინსტიტუტიდან გარიცხვა.

დაგვეთანხმებით, ალბათ, ზემოაღწერილი ამბების რეალურობა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია მისი ახსნა. ამას ცდილობს მოსკოვის პროკურატურა. აქ ახლა ათობით ეპიზოდს არკვევენ. ჩვენ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ თვით დანაშაულობებზე, რადგან გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება. მაგრამ შესაძლებლად არ მოგვაჩნია გაურკვეველი დროით გადავდოთ საუბარი სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას უზენი დარღვევებს, ინსტიტუტიდან ინსტიტუტში გადაყვანისას სამსახურებრივი მდგომარეობის ბორტაღად გამოყენების შესახებ და ა. შ. დღეს, როცა მისაღები გამოცდების დრო დადგა, ეს პრობლემები განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს და საჭიროა მათი მიზეზების გამორკვევა.

უწინარეს ყოვლისა, გავიგოთ მოსკოვის პროკურატურის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ვ. ი. მალიუკინის აზრი. თუ გახსოვთ, ვ. მალიუკინს უკვე შეეხვედრიავართ. ამა წლის მაისში ჩვენმა გაზეთმა გიამბოთ ფსიქიატთა ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რომელთა საქმის გამოძიებას სწორედ ის მეთაურობდა. მაშ ასე, სიტყვა მივცეთ ვ. ი. მალიუკინს:

— ახლა უკვე სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ სამედიცინო ინსტიტუტებში, ასპირანტურაში, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კლინიკურ ორდინატურაში პროტექციით შესვლა, ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში სტუდენტთა გადაყვანა — ყოველივე

ქართული პოეზიის მშვენება

ДЕДЕ ქართველი მწერლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს გიორგი დეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გახსნილია საიუბილეო გამოფენა, ხოლო დღეს, 26 ივლისს, მწერლის მშობლიურ სოფელ ჩარგალში გაიმართება ღიღი ზახადონ დღესასწაული.

განახლებული შეხვედა სტუმრებს ახლახან რესტავრირებული ვაჟასეული კარ-მიდამო და გალავანი, მისეული წისქვილი. სახლ-მუზეუმთან ახლოს კი საზეიმოდ გაიხსნება ვაჟას მემორიალი, რომლის ავტორები არიან არქიტექტორები: საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ო. ღითანაშვილი და ა. გურული. მემორიალურ კომპლექსში დაიდგმება მწერლის 4,5 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს ბიუსტი, რომელიც გამოაქანდაკა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ბ. ავალიშვილმა.

ლამაზია ფშავი და ჩარგალი, მაგრამ მხილველის თვალში კიდევ უფრო მაღლდება ამ გარემოს სილამაზის ბიბლი, როცა გაიხსენებთ, რომ მის წიაღში იშვა ღიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა.

დაბადებიდანვე შუბლზე თმებჩამოშვებულ იშვიათი გარეგნობის ლუკა რაზიკაშვილს მეზობლები არაჩვეულებრივ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფშაველთა ცხოვლმყოფელი ფანტაზიის მიუხედავად, ალბათ, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს უცნაური პატარა ბიჭი კარგა ხნის შემდეგ უდიდეს პოეტად იქცეოდა და თავისი შემოქმედებით უკვდავების მარგალიტს შესძენდა არა მხოლოდ ფშვის, არამედ დედა საქართველოს სახელსაც. დიდებისა და აღიარების მოსვლას კი დრო დასჭირდა, დრო, რომელიც ალბათ ყველაზე ობიექტური მსჯელი უკვდავებასთან შერკინებული შემოქმედის გენიოსად კურთხევისთვის.

70 წელზე მეტი გავდა ვაჟას გარდაცვალებიდან და ამ ხნის მანძილზე არ შერყეულა ხალხის რწმენა ილია ჭავჭავაძის მიერ თავის დროზე განცხადების ფორმით მოწოდებულის აზრის მიმართ: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი პოეტი არა გვყოლიაო“. სხვა შემთხვევაშიც უთქვამს დიდ ილიას: „ვაჟა-ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით განირჩევა თანამედროვე პოეტებისაგან“.

გენიოსის უპირველესი თვისება, ცხადია, გამორჩეულობაა; ვაჟაც გენიოსია და მომავლის პოეტი, რომლის შემოქმედებითს თავისებურებათა ახსნას ილია ოთხ სჭირდება, მაგრამ რანაირ დონეზეც უნდა იყოს ჩვენი მიმართება ამ შემოქმედისადმი, საღლეისოდ მაინც დგას კითხვა: რა ნიშნების მიხედვით გადალახა მან ლოკალური და დროითი ჯებირები, არ დაიბინდა წარმავლობის ბურუსისაგან და იქცა ჩვენი სულიერი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად?

ვაჟა-ფშაველამ ქართული მთა, კერძოდ, ფშავი და ხევსურეთი მოაქცია საზოგადოების ინტერესთა სფეროში, სანდოდ და შთამბეჭდავად დაგვიბასიათა მისი წარსული, აწმყო, ცხოვრების წესი და ადათები. ერთ მწერალსა და მოღვაწეს ისტორიაში შესვლისთვის ესეც ეყოფოდა, მაგრამ უკვდავებისათვის კიდევ მეტი იყო საჭირო! საერთო ეროვნული ამოცანების ასპექტით XIX ს. საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ვაჟა-ფშაველა განუხრელად იცავდა და ახორციელებდა დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ დასახულ გზს, სიტყვით თუ საქმით ქადაგებდა ჩვენი ქვეყნის ერთიანობას. მაგრამ პოეტური უკვდავების საფუძველი მაინც გახდა ის, რომ მან განსაკუთრებული სიღრმითა და სიფაქიზით გამოხატა ქართველის სული, მისი უშრეტი შემოქმედებითი ენერგია და სასიცოცხლო პოტენციალი. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ სიცოცხლეში მას უკვე უწოდეს „ქართული ხელოვნების სულის განმასაბიერებელი გენიოსი“, რომლის „თხზულებებში ყველაფერი ქართულია და მხოლოდ ქართული“ (არტურ ლაისტი).

პოეტის თვითდახასიათებაზე დაყრდნობილ შეგვიძლია ვაჩვენოთ, თუ როგორ უყურებს თვით ვაჟა პოეზიას, ხელოვნებს და ხელოვნების ამოცანას, ცხოვრებას და ადამიანის მოვალეობას, ე. ი. მთელ სამყაროს, ეს კი უპირველესად მის პოეტურ მრწამსშია გადმოშლილი, მრწამსში, რომელიც გარდა ცოდნისა, რისამე რწმენასაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ვაჟასათვის, როგორც ამას თვითონ ამბობს, „ბარეში ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია“, მწერლის შემოქმედის საგანი ყველაფერია, „რასაც ბუნებრიობა ეტყობა“, „სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხდალე, ქველობა თუ სიძუნწე და სხვა“. ვაჟა გვეუწყება, რომ „ტირილისად და მღერისად“ მას ულეველი მასალა თვით ცხოვრებამ მისცა. ამიტომაც, ვაჟას აზრით, შემოქმედს „თუკი სჭირს სახიერება ერისა, არ დაელევა არასდროს შრო და უნარი მღერისა“. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით მისდევს ხელოვნება ცხოვრებას, როგორც თავის წყაროს, და გასაგებია, თუ რატომ მოითხოვს ვაჟა ჭეშმარიტი შემოქმედისაგან „მოძულებულ, ოხერ წუთისოფელთან“ სიახლოვეს. მწერლის ამოცანაა იყოს შინაგანად აქტიური, აკვირდებოდეს, სწავლობდეს, აანალიზებდეს, განიცდიდეს, ე. ი. თავის „სულიერ ქეიშაში“ ატარებდეს ყველაფერს, რაც ცხოვრებაში ხდება და მისგან მომდინარეობს.

სხვაზე გაკეთა რომ მოახდინო, შენეულად უნდა აქციო გარედან მიღებული შთაბეჭდილებანი, მაგრამ ისე, რომ მისი ნამდვილობა კი არ შეანელო, არამედ განამტკიცო და გაამკვეთრო. ვაჟას მრწამსის გამომხატველიც მხოლოდ ისეთი პოეტური ნიჭია, რომელიც „ბუნებრივ, წმინდა ხელოვანს, ვაჟასაც მაძიებელი და წინაალმდეგობათა გადამლახავი სული აქვს. „ნამდვილ ნიჭს ჰფიქრობთ, რომ მოჰკლავს ლაბტი ცხოვრების ძნელისა?“ — კითხულობს პოეტი და მეული თავისი შემოქმედებით ადასტურებს, რომ ნამდვილი ნიჭი დაბრკოლებებს ერევა ხოლმე. ამ აზრითაა გამსჭვალული ვაჟას პოეტური მრწამსი.

მძიმეა ტვირთი ხელოვნისა. ვაჟა გრძნობს, რომ „ფრთებს უკვეცს ღმაფრენასა ამბავი ყოველდღიური“, მაგრამ „ამაყს გულითა“ და „ამაყის სულით“ შემკობილი პოეტი რწმენას არასოდეს კარგავს: „ის მასაზრდოებს, რომ დიდის ტრფობის ჭირის ვარ მთმენელი“ — ამბობს და მოთმინებას, ამტანობის ნიმუშად გვეკლინება.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ განწყობილებას ღრმა მოქალაქეობრივი აზრები და შეხედულება ეკვეავდა, რადგან ვაჟა თვით იყო თავისი დროის დიდი მოქალაქე. ამ მხრივ იგი ღირსეული მემკვიდრეა ილიასა და აკაკის სახელოვანი მამულიშვილური ტრადიციებისა. „მოქალაქეობრივი სიმამაცის“ ასპარეზად პოეტს მაინც ინტელიგენციის მოაზრე ცხოვრება მიაჩნია, რადგან ინტელიგენციას თვლიდა იგი ერის წინამძღოლად. ვაჟა ყოველთვის მომავლის თვალით ზომავდა წარსულისა და აწმყოს მნიშვნელობას თავისი ხალხისთვის და სწამდა, რომ ერის სასიცოცხლო ფაქტორთა შორის „დედა ენა“ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობ ერი, სხვა ყველაფერსაც უგულებელყოფს, ტერიტორიაზეც ხელს აიღებსო“. ვაჟას მრწამსით, სამშობლოს ფხიზელი გუშაგი ინტელიგენცია უნდა იყოს, მშობიერ მასას უნდა თავაკაცობდეს და გონებრივად გზას უკაფავდეს ჭეშმარიტი ინტელიგენტი. იგი, პირველ ყოვლისა, უნდა იცავდეს ბურჯს ეროვნებისას — ენას.

ვაჟას მიაჩნია, რომ „საქართველო რუსეთის სხეულში, რუსეთის ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანთაგე, არამედ მას ედგეს გვერდით, როგორც ცოცხალი, სალი არსება, რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი“. როგორც ვხედავთ, ვაჟა ამ შემთხვევაში და საერთოდაც არასოდეს იზღუდება ვიწრო პატრიოტული ჯანრაზვით, იგი მოსამსჭვერტელი მოაზროვნეა, რომელიც საკაცობრიო წუხილზე წუხს, თანასწორობის იდეას ქადაგებს და ამავე დროს სამშობლოს ტკივილს აქცევს მუდმივი სევდის წყაროდ.

ძირითადად ასეთია ვაჟას მრწამსი, რომელშიც გამყდავნებულია მისი ცხოვრების საზრისად ქცეული ეთიკურ-ესთეტიკური პრინციპი. მაგრამ შეუდარებლად უფრო რთულია თვით ვაჟას მზატვრული სამყაროში გადაშლილი გრძნობები და იდეები. ამ თვალსაზრისით ფართოა ვაჟას — ხელოვნისა და მოაზროვნის თვალსაწიერი. ამიტომაცაა, რომ ის შეუნელებელ ინტერესს აღძრავს ენათმეცნიერებსა და ფილოსოფოსებში, ეთნოგრაფ-ისტორიკოსებსა და ფოლკლორისტებში, სხვა სფეროს წარმომადგენლებში. მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასია ვაჟა-ფშაველა ლიტერატურათმცოდნეთათვის. ჩვენს სინამდვილეში სწორედ ვაჟამ და არა სხვა ხელოვანმა, მისმა დიადმა მხატვრულმა ქმნილებებმა და პოეტის ხელოვნებამ მისცა გარკვეული საფუძველი გემოვნებგაფაქიზებულ მკითხველებსა და მკვლევრებს ემსჯელათ ვაჟას ჰომეროსისებურ მხატვრულ ხედვაზე, შექსპირულ ვნებებზე, ნიცშეანური ინდივიდუალიზმისა და რელიგიური უნივერსალიზმის, ინტელექტისა და ინტუიციის პრობლემებზე გოეთესებრ, ფაუსტურ ძიებებსა და მითოსური ხილვის არსზე. ვაჟას შემოქმედების მაგალითით შეიქმნა საჭიროება ყურადღება გაემახვილებინათ სალიტერატურო ქართულთან ვაჟას ქართულის მიმართებაზე, დიალექტიზმის მხატვრულ ფუნქციაზე, საგანგებო შესწავლის საგნად იქცა პოეტის დამოკიდებულება ფოლკლორთან და ა. შ. ვაჟას შემოქმედებითმა თავისებურებებმა წამოჭრა ჩვენს სინამდვილეში პირველად ისეთ სპეციფიკურ, ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობის აუცილებლობა, როგორიცაა: ანიმიზმის, ჰილოგოიზმის, ანთროპომორფიზმის, პანთეიზმის, წარმართობის, პანესთეტიზმის და ა. შ. რთული პრობლემები. მოცემულ შემთხვევაში ამ საკითხთა მცდარობა-მართებულობის აღიარებას და მათ ერთ-ერთ ან ორ-ორ ეროვნულ სამყაროში გადაშლილი გრძნობები და იდეები. ამ თვალსაზრისით ფართოა ვაჟას — ხელოვნისა და მოაზროვნის თვალსაწიერი. ამიტომაცაა, რომ ის შეუნელებელ ინტერესს აღძრავს ენათმეცნიერებსა და ფილოსოფოსებში, ეთნოგრაფ-ისტორიკოსებსა და ფოლკლორისტებში, სხვა სფეროს წარმომადგენლებში. მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასია ვაჟა-ფშაველა ლიტერატურათმცოდნეთათვის. ჩვენს სინამდვილეში სწორედ ვაჟამ და არა სხვა ხელოვანმა, მისმა დიადმა მხატვრულმა ქმნილებებმა და პოეტის ხელოვნებამ მისცა გარკვეული საფუძველი ემსჯელათ ვაჟას ჰომეროსისებურ მხატვრულ ხედვაზე, შექსპირულ ვნებებზე, ნიცშეანური

უკსოეთში

ფაქტები • მოვლენები

მძლავრი იმპულსი მივანიჭოთ მოლაპარაკებას

გამოხმაურება

ინდონეზიური გაზეთის „მერდეკის“ კითხვებზე მ. ს. გორბაჩოვის პასუხს საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მრავალი გამოხმაურება მოჰყვა. ამ პასუხს მიიჩნევენ ერთი წლის წინათ გამოცხადებული ვლადივოსტოკის ინიციატივის განგრძობად და განვითარებად, რომელიც ითვალისწინებს აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დამყარებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ საბჭოთა კავშირმა განაცხადა, ქვეყნის აზიურ ნაწილში მოვსპობ ყველა საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტასო. ეს ნაბიჯი, როგორც ერთხელოვნად აღნიშნავენ, შეესაბამება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოთა მისწრაფებას, გადაიქცეს ეს რაიონი მშვიდობიან, უბირთვო ზონად. ახლა იმის დრო დადგა, რომ ამერიკამაც მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ჯაკარტა. ინდონეზია მიესალმება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებებს, განაცხადა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰტარ კუსუმა-ატმაჯამ. გაზეთ „მერდეკისათვის“ მიცემული ინტერვიუ ლოგიკური გაგრძელებაა ვლადივოსტოკში საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წარმოთქმული სიტყვისა, რომლის კვალდამებით სააზიო „ნულს“ საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით“ — ასეთი სათაურით ბეჭდავს „იომიური“. სარედაქციო კომენტარს, რომელშიც დაწვრილებით გადმოსცემს საბჭოთა დოკუმენტს. „ვლადივოსტოკში საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ გამოცხადებული სსრ კავშირის წინადადება აზიაში საბჭოთა კავშირის ახალი გენერალური მშვიდობიანი შეტევაა“, — წერს „სინკეი სიმბუნი“. საქმე ეხება ინიციატივას, რომელიც განიარაღების პროცესის რეალური წინსვლის გზას სახავს“.

ვაშინგტონი. ენენევის მოლაპარაკებაზე ამერიკის დელეგაციის მეთაურმა მაქს კამპელმანმა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში პოზიტიურად შეაფასა საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები. ეს წინადადებები, თქვა მან, „მთელ რიგ პრობლემებს“ წყვეტენ ორივე მხარეს საშუალო სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადების გზაზე. ამავე დროს „კამპელმანმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უარყოფდა სსრ კავშირის წინადადებას იმის თაობაზე, რომ შესაძლო მოიგების ტექსტში შეეტანათ დებულება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კუთვნილ „პერშინგ-15“ რაკეტებზე ამერიკის ბირთვული ჯობინების შესახებ.

პარიზი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა წინადადება ნიშნავს „მნიშვნელოვან პროგრესს“ ენენევის მოლაპარაკებაზე. საფრანგეთი, ხაზგასმულია განცხადებაში, ყოველთვის მხარს უჭერდა საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ გლობალურ შეთანხმებას.

მ. ს. გორბაჩოვის პასუხს დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება. სინხუას სააგენტოს ფოტოსურათებით ილუსტრირებული დაწვრილებითი ცნობა მოსკოვიდან გამოაქვეყნა პეკინის „ენენმინ ციბაომ“.

მექსიკა. „მოსკოვი, სინიორ მიხელ გორბაჩოვს“. მექსიკის სინალოას შტატის ბავშვების 20 ათასი წერილი ასეთი მისამართით გადაეცა პასუხევ სსრ კავშირის მეხიკოს საელჩოს.

წერილებში, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელს გამოუგზავნეს სინალოას შტატის დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, გამოთქმულია შეშფოთება მსოფლიოს ბედის, კაცობრიობის მომავლის გამო. ამ წერილებში აგრეთვე გამოხატულია საბჭოთა კავშირისა და იმის იმედი, რომ მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ახალი ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის გამონაზეგზავნილ „ნულ“ ... ...